



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia

**EU 4 Environment**  
Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Republic of Moldova, Ukraine

საინფორმაციო შეხვედრა ინდუსტრიული ნარჩენების რუკირების (IWM) შესახებ რუსთავისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის კომპანიებისთვის  
ევროკავშირის დაფინანსებული „EU4Environment“ კომპონენტ „ცირკულარული ეკონომიკა და ზრდის ახალი შესაძლებლობები“ ფარგლებში

დღის წესრიგი

**შეხვედრის ბმული**

თარიღი: 10 დეკემბერი, 2021  
დრო: 11:00 AM - 12:00 PM (GMT+4),

ფორმატი: ონლაინ ვიდეო კონფერენცია ზუმის მეშვეობით  
ენა: ქართული და ინგლისური (სინქრონული თარგმანის თანხლებით)

Action implemented by:



ჩართვისთვის საჭირო ინფორმაცია

შეხვედრის ბმული:

<https://us02web.zoom.us/j/82036097337?pwd=WU9yQTdmZi85V0hCZGgvVXEwb3YxUT09>

შეხვედრის ID: 820 3609 7337

კოდი: 397656

დღის წესრიგი

მოდერატორი: სოფიკო ახოზაძე, დირექტორი, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი

| დრო (GMT+4) | საკითხი   |
|-------------|---|
| 11:00-11:10 | <p><b>მისასალმებელი სიტყვა</b></p> <p><b>ბესიკ ტოგონიძე,</b><br/>მერის მოადგილე, რუსთავის მუნიციპალიტეტი</p> <p><b>გიორგი ჯუღელი,</b><br/>მერის მოადგილე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი</p> <p><b>ტატიანა ჩერნივსკაია,</b><br/>EU4Environment პროექტის მენეჯერი, გარემოსა და ენერჯის დირექტორატი, გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) (tbc)</p> <p><b>გიორგი აბულაშვილი</b><br/>პროექტის ეროვნული კოორდინატორი, ენერგოეფექტურობის ცენტრი</p> <p><b>სოფიკო ახოზაძე,</b><br/>დირექტორი, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი</p> |
| 11:10-11:25 | <p><b>კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობები ნარჩენების რუკირებისთვის: მონაცემთა შეგროვება</b></p> <p><b>ირაკლი ლეგაშვილი</b><br/>ნარჩენების მართვის ექსპერტი, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი</p>  |
| 11:25-11:40 | <p><b>შეგროვებული მონაცემების ანალიზი ნარჩენების რუკირებისთვის: წინასწარი შედეგები, სარგებელი და შესაძლებლობები ზესტაფონისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების საწარმოებისთვის</b></p> <p><b>ალი ქარუთი</b><br/>ცირკულარული ეკონომიკის საერთაშორისო ექსპერტი, SWECO International AB</p>   |
| 11:40-11:55 | <p><b>დისკუსია, კითხვა-პასუხის სესია (ყველა მონაწილისთვის)</b></p>  |
| 11:55-12:00 | <p><b>შეხვედრის დასრულება</b></p>   |

## **პრაქტიკული ინფორმაცია**

შეხვედრა ჩატარდება 2021 წლის 10 დეკემბერს (თბილისის დროით 11:00-12:00 საათზე). შეხვედრაზე დასწრება შესაძლებელი იქნება ონლაინ, Zoom პლატფორმის მეშვეობით. წარდგენილი იქნება პრეზენტაციები და გაიმართება დისკუსია მონაწილეთა ჩართულობით. შეხვედრა წარმართება ქართულ და ინგლისურ ენებზე, სინქრონული თარგმანის თანხლებით.

## **შეხვედრის მიზნები**

შეხვედრის მთავარი მიზნებია:

ინდუსტრიული ნარჩენების რუკირებისთვის ჩატარებული აქტივობების შედეგების გაზიარება რუსთავისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის;

ინდუსტრიული ნარჩენების რუკირებისთვის ჩატარებული აქტივობების წინასწარი შედეგების განხილვა, რათა მოხდეს ინფორმაციის დაზუსტება და საბოლოო შედეგების მიღწევა;

ინდუსტრიული ნარჩენების რუკირების სარგებლისა და ახალი შესაძლებლობების განხილვა რუსთავისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების საწარმოებისთვის.

## **მონაწილეები**

მონაწილეთა სია შედგება ზესტაფონისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების, საწარმოების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სააგენტოებისგან, ეკოლოგების, გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციისა და SWECO-ს წარმომადგენლებისაგან.

შეხვედრის ორგანიზატორები არიან UNIDO, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი და SWECO.

## **ზოგადი ინფორმაცია**

საინფორმაციო შეხვედრა ინდუსტრიული ნარჩენების რუკირების თაობაზე გაიმართება „ცირკულარული ეკონომიკა და ზრდის ახალი შესაძლებლობები“ კომპონენტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია „ევროკავშირი გარემოსთვის“ ქმედების მიერ და მიზნად ისახავს ინდუსტრიული ნარჩენების მართვის უკეთ გააზრებასა და რუკირებას. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ევროკავშირი გარემოსთვის“ ქმედების მიზანია ბუნებრივი რესურსების მოფრთხილება, საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანაში: აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, სომხეთი და უკრაინა.

გარემოსდაცვითი და ეკონომიკური აქტორების გაერთიანებით, „ევროკავშირი გარემოსთვის“ ხელს უწყობს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებასა და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, და, ასევე დაგეგმვასა და ინვესტიციებში ეკოლოგიური მიდგომებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირებას, ახალი ბიზნეს მოდელების მიღებითა და მწვანე სამუშაო ადგილების შექმნით.

ნარჩენების მართვა მოიცავს ყველა ქმედებას, ნარჩენების წარმოქმნის მომენტიდან

საბოლოო განთავსებამდე. ეს პროცესი მოიცავს ნარჩენების ტრანსპორტირებას, აღდგენასა და გადამუშავებას, ასევე მონიტორინგსა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას, ტექნოლოგიებსა და ეკონომიკური მექანიზმებს.

ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემა ქმნის ბიზნესის გაზრდილ ღირებულებას, რაც ხელს უწყობს სამრეწველო ინდუსტრიის მდგრადობას და წარმოქმნის მეტ ეკონომიკურ შესაძლებლობას.

ძირითადი პასუხისმგებლობა სამრეწველო ნარჩენებზე ეკისრებათ მწარმოებლებს, თუმცა, რადგან ნარჩენების მართვას, როგორც წესი, სხვადასხვა უწყება ახორციელებს, საჭიროა დამხმარე მეთოდები, რათა საწარმოების ოპერირების განვითარებაში გაითვალისწინონ და გაუმჯობესდეს როგორც ნარჩენების და რესურსების მართვა, ასევე ნარჩენების საბოლოო განთავსების მეთოდები.

ნარჩენების რუკირება მიღებული პრაქტიკაა კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში ნარჩენების რაოდენობის დასადგენად და ნარჩენების განაწილებისა და მართვის სისტემის დემონსტრირებისთვის. ნარჩენების რუკირებისთვის არაერთი მეთოდი არსებობს და გვაქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კარგი მაგალითები. ნარჩენების რუკები, ცირკულარული ეკონომიკის გეგმების ფარგლებში, შეიქმნა ქალაქ ამსტერდამის, გლაზგოსა და ლონდონისთვის, სადაც განსაზღვრულია ნარჩენების ძირითადი წარმომქმნელები და როგორ ხდება მათი ნარჩენების მართვა ან დაბრუნება ეკონომიკაში რესურსად გამოყენების ციკლის საშუალებით. ამ ქალაქების დიაგრამაზე ზივუალურად არის გამოსახული, თუ როგორ ხდება რესურსების აღმინისტრირება.

შესაბამისად, ინდუსტრიული ნარჩენების რუკირების ძირითადი მიზანია სამრეწველო ინდუსტრიის ნარჩენების ნაკადების იდენტიფიცირება, შეფასება და რუკირება, რესურსების ეფექტიანობის გაუმჯობესებული ვარიანტების შემუშავების მიზნით.

კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus) ეხმარება UNIDO ევროკავშირი გარემოსთვის ქმედების „ცირკულარული ეკონომიკა და ზრდის ახალი შესაძლებლობების“ კომპონენტის მესამე დავალების „ცირკულარული ეკონომიკა და ნარჩენების მართვა“ შესრულებაში. რესურსეფექტური და სუფთა წარმოებაზე მუშაობა, ამ კომპონენტის ფარგლებში, ასევე მოიცავს სხვა ქმედებებსაც:

- მართვა, თანამშრომლობა და ინსტიტუციონალიზაცია;
- რესურსები და & საწარმოების შეფასებები
- ცირკულარული ეკონომიკა და ნარჩენების მართვა
- რესურსების ამაღლება & ნარჩენების მართვა
- ევროკავშირის ბაზრის წარდგენა „მწვანე პროდუქტებისთვის: პროექტის გარემოზე დატოვებული კვალის გამოთვლის მეთოდოლოგია

#### **EU4Environment ქმედების შესახებ**

“ევროკავშირი გარემოსთვის” (EU4Environment) მიზანია ექვსი პარტნიორი ქვეყნის აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, სომხეთი და უკრაინა დახმარება, რომ შეძლონ ბუნებრივი რესურსების მოფრთხილება და გაუმჯობესონ ადამიანთა კეთილდღეობა, რისი განხორციელებაც შესაძლებელია გარემოსდაცვითი ღონისძიებით, მწვანე შესაძლებლობების დემონსტრირებით და

---

ხელმისაწვდომობით, გარემოსდაცვითი რისკების მართვით და გარემოზე ზემოქმედების შემცირებით.

EU4Environment პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მას ახორციელებს ხუთი პარტნიორი: ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP), გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO), და მსოფლიო ბანკი (World Bank) პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 20 მლნ. ევროს და განხორციელების პერიოდი მოიცავს 2019-2022 წლებს.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: [www.eu4environment.org](http://www.eu4environment.org).

ინფორმაცია საქართველოში რესწ იმპლემენტაციის შესახებ იხილეთ: [www.recp.ge](http://www.recp.ge)

---